გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება № 166

2023 წლის 8 სექტემბერი
ქ. გორი

ქ. გორში, ბერუაშვილის ქუჩაზე არსებული სკვერის მიმდებარედ ერთ ლოკაციაზე „ხელოვნური უსწორმასწორობების“ განთავსების შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსულია ქ.გორში ბერუაშვილის ქუჩაზე მცხოვრები მოსახლეობის ერთობლივი განცხადება, რომელშიც ითხოვენ ქ. გორში ბერუაშვილის ქუჩაზე არსებული სკვერის მიმდებარედ ერთ ლოკაციაზე სიჩქარის შემანელებელი ბარიერის მოწყობას

აღნიშნული საკითხი შეისწავლა გორის მუნიციპალიტეტის მერიამ, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის შიდა ქართლის მთავარ სამმართველოსთან ერთად და ქვეითად მოსიარულეთა უსაფრთხო გადაადგილების და ავტოსაგზაო შემთხვევების თავიდან აცილების მიზნით, მიზანშეწონილად მიაჩნია მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის დამატებითი ღონისძიების სახით ქ.გორში, ბერუაშვილის ქუჩაზე არსებული სკვერის მიმდებარედ ერთ ლოკაციაზე განთავსდეს სიჩქარის შემანელებელი ბარიერები ГОСТ Р 52 605-2006-ის შესაბამისად, შემდეგი საგზაო ნიშნებთან ერთად: 1.18- „ხელოვნური უსწორმასწორობა“; 3.24 „მაქსიმალური სიჩქარის შეზღუდვა 30კმ/ სთ“; 5,20 „ხელოვნური უსწორმასწორობა“.

საგზაო უსაფრთხოების დაცვისა და საგზაო შემთხვევების თავიდან აცილების მიზნით გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია ქ. გორში ბერუაშვილის ქუჩაზე არსებული სკვერის მიმდებარედ ერთ ლოკაციაზე შესაბამისი საგზაო ნიშნებით, განთავსდეს ზემოაღნიშნული „ხელოვნური უსწორმასწორობები“.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების და „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე,

1. ქ.გორში, ბერუაშვილის ქუჩაზე არსებული სკვერის მიმდებარედ ერთ ლოკაციაზე შესაბამისი საგზაო ნიშნებით, განთავსდეს „ხელოვნური უსწორმასწორობები“.

2. განკარგულების პირველ პუნქტში აღნიშნული „ხელოვნური უსწორმასწორობა“ დამონტაჟდეს ГОСТ Р 52 605-2006-ის განსაზღვრული ნორმების შესაბამისად და დაიდგას შემდეგი საგზაო ნიშნები:

ა) 1.18 „ხელოვნური უსწორმასწორობა“;

ბ) 3.24 „მაქსიმალური სიჩქარის შეზღუდვა“ (30 კმ/სთ);

გ) 5.20 „ხელოვნური უსწორმასწორობა“.

3. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მის.: ქ. გორი, სერგო ჯორბენაძის ქ.№30).

საკრებულოს თავმჯდომარე _____ დავით რაზმაძე